არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი"

წ ე ს დ ე ბ ა
(ახალი რედაქცია)

თბილისი
2023 წელი

მუხლი 1.

ზოგადი დებულებანი

1.1. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი (შემდგომში - ქსელი) არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, შემდგომში აიპ.

1.3. თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.4. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მამუკა ნოზაძის №52;

1.5. ერთიან ელექტრონულ პორტალზე, პორტალის ტელეფონის ნომერზე და ელექტრონული პორტალის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვაზე უფლებამოსილი პირი არის აღმასრულებელი დირექტორი:

ელექტრონული პორტალის ტელეფონი 599275208 ელ;ფოსტა info@hrn.ge

მუხლი 2.

საქმიანობის მიზნები

ქსელის მისიაა

ზიანის შემცირების მიდგომების განვითარება, მხარდაჭერა, ჰუმანური ნარკოპოლიტიკის განხორციელების და ნარკოტიკების მოხმარების და მასთან ასოცირებული დაავადებების პროფილაქტიკის, მკურნალობის და რეაბილიტაციის სფეროში. ქსელი აღიარებს და პატივს სცემს ჰუმანიზმის, ტოლერანტობის, პარტნიორობის და ადამიანის უფლებების პრინციპებს. ქსელს სწამს, რომ ყოველ ადამიანს აქვს ჯანმრთელობის და კეთილდღეობის უფლება და შესწევს უნარი იზრუნოს საკუთარ თავზე, ახლობლებზე და საზოგადოებაზე.

ქსელის საქმიანობის მიზნებია:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაჩვენებლების გაუმჯობესება და ადამიანის უფლებების დაცვა;
- აივ/შიდსი-ს, ვირუსული ჰეპატიტების და ნარკოტიკის ინექციურ მოხმარებასთან ასოცირებული სხვა პათოლოგიური მდგომარეობების გავრცელების შემცირება / თავიდან აცილება;
- ნარკოტიკების მომხმარებლების და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ არარეპრესიული და არადისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება;
- საქართველოს ნარკოპოლიტიკის მიმართულების შეცვლა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და შედეგზე ორიენტირებული მიდგომისკენ;
- საზოგადოების, პოლიტიკოსების, კანონმდებლების და მედიის განათლება ნარკოტიკების პრობლემისადმი ალტერნატიული მიდგომების თაობაზე;
- მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და ეფექტიანი პროფილაქტიკური, სამკურნალო და ზიანის შემცირების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობა;

• ეროვნული და რეგიონალური ზიანის შემცირების პროგრამების მხარდაჭერა და განვითარება;

• საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

• საზოგადოების ცოდნის და ცნობიერების ამაღლება:

• ზიანის შემცირების პროექტების და ორგანიზაციების ქსელური თანამშრომლობის განვითარება;

• ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 3

წევრობა

3.1. ქსელის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც იზიარებს ქსელის მისიას და მიზნებს.

3.2. ქსელის წევრობის მსურველი წერილობითი განცხადებით მიმართავს ქსელის გამგეობას და წარმოადგენს ორგანიზაციის წესდებას, სამოტივაციო წერილს, განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს და სარეკომენდაციო წერილს იურიდიული პირისგან. გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

3.3. ფიზიკური პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ქსელის საქმიანობას, ქსელის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ქსელის ასოცირებულ წევრად. ასოცირებულ წევრზე არ ვრცელდება ქსელის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

3.4. ქსელის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული იურიდიული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

3.5. ქსელის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ზედიზედ ორჯერ ქსელის საერთო კრებაში მონაწილეობის არმიღება;

გ) ორგანიზაციის მიერ ქსელის საქმიანობის მიზანმიმართული დისკრედიტაცია;

დ) ორგანიზაციის მიერ ქსელის საქმიანობისათვის მიზანმიმართული ხელის შეშლა;

ე) ორგანიზაციის ისეთი ქმედებები ან გამონათქვამები, რომელიც ეწინააღმდეგება ქსელის მისიას და პრინციპებს;

ვ) კანონმდეებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 4

წევრთა უფლება-მოვალეობანი

4.1. ქსელის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობდეს ქსელის საერთო კრების მუშაობაში;

ბ) დააყენოს თავისი ან სხვისი კანდიდატურა ქსელის მმართველობის ორგანოებში არჩევის მიზნით;

გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ქსელის პროგრამებში;

დ) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ქსელის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ქსელის საქმიანობის შესახებ;

ე) ქსელის მიზნების შესაბამისად, ისარგებლოს ქსელის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ვ) ატაროს ქსელის ემბლემა.

4.2. ქსელის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას ქსელის წესდება და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) გაუფრთხილდეს ქსელის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ქსელის საქმიანობაში;

დ) გადაიხადოს საწევრო შესატანი დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 5

საერთო კრება

5.1. ქსელის მართვის უმაღლესი ორგანოა ქსელის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ წევრთა შეკრების ან/და ელექტრონული საშუალებით წელიწადში ერთხელ მაინც.

5.2. ქსელის საერთო კრებაზე ხმის უფლებით სარგებლობს ქსელის წევრი ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ორგანიზაციის სახელით.

5.3. ქსელის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება ქსელის წევრთა ნახევარზე (50%+1) მეტი. თუ საერთო კრებას არ ესწრება წევრთა საჭირო რაოდენობა გამგეობის თავმჯდომარე არაუგვიანეს 2 კვირისა ხელმეორედ მოიწვევს ქსელის წევრთა საერთო კრებას.

5.4. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა ქსელის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

5.5 საერთო კრების დღის წესრიგში ისეთი საკითხის დაყენება, რომელიც არ არის დაკავშირებული წესდებაში შესატან ცვლილებასთან, შეუძლია ქსელის ნებისმიერ წევრს საერთო კრების ჩატარებამდე ან კრების მსვლელობისას.

5.6. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით თუ წესდებით ან კანონით სხვა წესი არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა.

5.7. საერთო კრება:

ა) დამსწრეთა ნახევარზე მეტი ხმების უმრავლესობით იღებს ქსელის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

ბ) ფარული კენჭისყრით კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობით ირჩევს გამგეობის წევრებს. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება დამატებითი წილისყრა თანაბარი რაოდენობის ხმების მქონე წევრებს შორის;

გ) ისმენს ქსელის საქმიანობის და ფინანსურ ანგარიშს;

დ) დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ ქსელის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

ე) იღებს გადაწყვეტილებას ქსელის ლიკვიდაციის შესახებ;

თ) იღებს გადაწყვეტილებას წევრის ქსელიდან გარიცხვის შესახებ.

5.8. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ქსელის გამგეობის მიერ:

ა) საკუთარი ინიციატივით;

ბ) თავმჯდომარის ან ქსელის წევრთა მეათედის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ერთი თვისა;

5.9. საერთო კრების ოქმი განსახილველად და დასამტკიცებლად ეგზავნება ქსელის წევრებს კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში; ოქმის საბოლოო ვერსია დამტკიცებულ უნდა იქნას (საერთო კრებაზე დამსწრე) წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 6

გამგეობა

6.1. ქსელის მმართველობითი ორგანოა 7 (შვიდი) წევრისაგან შემდგარი ქსელის გამგეობა, რომლის წევრებსაც ორი წლის ვადით ირჩევს საერთო კრება.

6.2 გამგეობის წევრთა უფლებამოსილება იწყება მათი არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი გამგეობის წევრების არჩევამდე.

6.3. გამგეობის შემადგენლობა ყოველი არჩევისას უნდა განახლდეს სულ მცირე სამი წევრით.

6.4. გამგეობა უფლებამოსილია, თუ გამგეობის სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.

6.5. გამგეობის სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ქსელის გამგეობის თავმჯდომარის მიერ ან გამგეობის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამგეობის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

6.6. გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს.

6.7. იწვევს და ატარებს საერთო კრებას; კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ორი კვირით ადრე მაინც აცნობებს ქსელის წევრებს.

6.8. ამზადებს ქსელის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად, რომელსაც აქვეყნებს კრებამდე ორი კვირით ადრე.

6.9. თანამდებობაზე ნიშნავს ქსელის აღმასრულებელ დირექტორს. ქსელის აღმასრულებელი დირექტორის შერჩევა ხდება ღია კონკურსის საფუძველზე. გამგეობას აქვს უფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, გაუგრძელოს ხელშეკრულება მოქმედ აღმასრულებელ დირექტორს თუ მისი საქმიანობა გამგეობის მიერ დადებითად იქნება შეფასებული. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია, რომ აღმასრულებელი დირექროტის ვაკანსიის დასაკავებლად არ გამოცხადდეს ღია კონკურსი.

6.10. განიხილავს და აუქმებს აღმასრულებელი დირექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუ ის აშკარად შეუსაბამოა ქსელის საქმიანობის მიზნებსა და სტრატეგიასთან.

6.11. შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ქსელის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს.

6.12. ამტკიცებს ქსელის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისთვის წარსადგენად.

6.13. ამტკიცებს ქსელის სტრატეგიული განვითარების გეგმას.

6.14. ამტკიცებს ქსელის აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის შესახებ დებულებას, ქსელის სამდივნოს საქმიანობის შინაგანაწესს და ორგანიზაციულ სტრუქტურას, აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილ პროექტებს.

6.15. ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

6.16. ფარული კენჭისყრით წევრთა უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს ქსელის გამგეობის თავმჯდომარეს ან/და აღმასრულებელ დირექტორს.

6.17. ხმათა უმრავლესობით წყვეტს ქსელის წევრად მიღების საკითხს.

6.18. წყვეტს ქსელის გაერთიანების საკითხს სხვადასხვა კოალიციებში.

6.19. წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს ქსელის საქმიანობის მიზნებიდან და ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

6.20.

ა) გამგეობის თავმჯდომარე ვალდებულია გამგეობის მიერ პროგრამული და ფინანსური რესურსების განაწილებისას და მმართველობის სფეროში სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით არსებული საკითხების განხილვისას დააფიქსიროს კონრეტული სუბიექტის(ების) ინტერესთა კონფლიქტში ყოფნა და უზრუნველყოს საკითხის ინტერესთა კონფლიქტში მყოფი პირის(ების) მონაწილეობის გარეშე განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

ბ) მაშინ, როდესაც ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო ქსელის გამგეობა არ იქნება უფლებაუნარიანი მიიღოს გადაწყვეტილება, გამგეობის თავმჯდომარე საკითხს გადასაწყვეტად გადასცემს საერთო კრებას, რომელიც უფლებამოსილია

საკითხი განიხილოს ელექტრონული კომინიკაციის საშუალებით და გადაწყვეტილება მიიღოს ხმათა უმრავლესობით ონლაინ ხმის მიცემის/გამოკითხვის სერვისის გამოყენებით.

6.21. გამგეობის სხდომის ოქმი ეგზავნება ქსელის წევრებს სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7

გამგეობის თავმჯდომარე

7.1. ქსელის გამგეობის თავმჯდომარეს, თავის წევრთაგან ორი წლის ვადით არაუმეტეს ზედიზედ ორი ვადისა, ირჩევს გამგეობა მორიგი საერთო კრების შემდეგ პირველსავე სხდომაზე.

7.2. თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ნებისმიერ წევრს.

7.3. ქსელის გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

7.4. ქსელის გამგეობის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;

ბ) ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობას;

გ) აღმასრულებელი დირექტორის აყოფნისას ასრულებს მის ფუნქციებს;

დ) ერთპიროვნულად დამოუკიდებლად წარმოადგენს ქსელს სხვა პირებთან ურთიერთობაში;

ე) ასრულებს მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს, რომელიც გამომდინარეობს ქსელის მიზნებიდან.

მუხლი 8

აღმასრულებელი დირექტორი

8.1. ქსელის აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს ქსელის გამგეობა.

8.2. აღმასრულებელი დირექტორი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ წესდების, აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის შესახებ დებულებისა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.

8.3. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე და ყოველ კვარტალში ერთხელ წარუდგენს მას გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

8.4. აღმასრულებელი დირექტორი არაუგვიანეს მარტის თვისა გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ქსელის გასული წლის საქმიანობის ანგარიშს წერილობით.

8.5. აღმასრულებელი დირექტორი დამოუკიდებლად წარმოადგენს ქსელს სხვა პირებთან ურთიერთობაში და ხელს აწერს ქსელის ოფიციალურ დოკუმენტაციას.

8.6. უზრუნველყოფს ქსელის სტრატეგიული გეგმის შესრულებას და ზედამხედველობას უწევს ქსელის პროექტების განხორციელებას.

8.7. განკარგავს ქსელის ფინანსურ და სხვა რესურსებს.

8.8. აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგინოს ქსელის პროექტები და პროგრამები.

მუხლი 9

სარევიზიო კომისია

9.1. ქსელის გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და მათ მიერ დამტკიცებული თანამდებობის პირების მიერ ქსელის წესდების შესრულებისა და ქსელის მიზნებისა და სტრატეგიის, ასევე ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით შეიძლება შეიქმნას სარევიზიო კომისია, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა სახის ფინანსური თუ სხვა სახის დოკუმენტაცია.

9.2. კომისია შედგება 3 (სამი) წევრისაგან და მათ ირჩევს საერთო კრება ორი წლის ვადით.

9.3. კომისია შეიმუშავებს დასკვნას და წარუდგენს თავის რეკომენდაციებს საერთო კრებას;

9.4. კომისიის შეკრების და მოქმედების საფუძველი შეიძლება გახდეს ქსელის ნებისმიერი წევრის დასაბუთებული მიმართვა.

9.5. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი.

9.6. სარეკომენდაციო წერილით მიმართავს, ქსელის იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ქსელის მისიასა და მიზნებს, ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 10

ქსელის ქონება

9.1. ქსელის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

9.2. ქსელის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

მუხლი 11
ქსელის საქმიანობის შეწყვეტა

11.1 ქსელის ლიკვიდაცია ხდება:

ა) კანონით გათვალისწინებული წესით

ბ)ქსელის საერთო კრების გადაწყვეტილებით;

ბ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით.

11.2. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება სალიკვიდაციო კომისიის მიერ გადაეცემა მსგავსი მიზნების მქონე სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირებს.

მუხლი 12.
ქსელის დამფუძნებლები

1. ააიპ "ალტერნატივა ჯორჯია" რეგისტრირებული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, 2004 წლის 9 სექტემბერს, რეგისტრაციის №5ა/9-81.

2. ააიპ "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" - რეგისტრირებული თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ, 2004 წლის 20 იანვარს., რეგისტრაციის №2/9-58.

3. ააიპ – ფსიქო-სოციალური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრი " ახალი გზა" რეგისტრირებული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, 2002 წლის 24 სექტემბერს, რეგისტრაციის №5ა/9-430.

4. ააიპ - სამედიცინო სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი "ურანტი" - რეგისტრირებული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, 2003 წლის 5 დეკემბერს, რეგისტრაციის №5/9-809. რეესტრში ბოლო ცვლილების რეგისტრაციის თარიღი 2004 წლის 19 მაისი.

5. ააიპ – საინფორმაციო სამედიცინო ცენტრი 'თანადგომა" რეგისტრირებული თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, 2000 წლის 16 ოქტომბერს, რეესტრში ბოლო ცვლილების რეგისტრაციის თარიღი 2004 წლის 16 ივლისი.

6. ააიპ ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაცია - რეგისტრირებული თბილისის ვაკის რაიონული სასამართლოს მიერ, 1999 წლის 5 აპრილს, რეგისტრაციის №5/9-149. რეესტრში ბოლო ცვლილების რეგისტრაციის თარიღი 2006 წლის 8 მაისი, რეგისტრაციის №729.

7. ააიპ „ქალთა კლუბი „პეონი", რეგისტრირებულია თბილისის საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, 1998 წლის 8 მაისის დადგენილებით, რეგისტრაციის №5ა/9-32; ცვლილებები რეგისტრირებულია 2004 წლის 9 ივლისს, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის №5ა/9-32.